GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

საქართველოს ეკონომიკის ახალი მოდელის საჭიროება გლობალური ცვლილებების პირობებში

ივნისი 2020

ძირითადი მიგნებები

მსოფლიოში კოვიდ-19-ის პანდემიამ წინა პლანზე წამოწია ადგილობრივი წარმოების მნიშვნელობა და მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიცირების აუცილებლობა, ვინაიდან ჩინეთის ჩაკეტვამ და მიწოდების ქსელების მოშლამ ბევრი კომპანიის პარალიზება გამოიწვია. ანალიტიკოსების მოსაზრებით, ეს პანდემია მნიშვნელოვნად შეცვლის მომავალი ათწლეულის მსოფლიო ეკონომიკურ მოდელს - **ეკონომიკები უფრო ავტონომიურები გახდებიან, ფოკუსირება მოხდება მიწოდების ჯაჭვების რეგიონალურ კონცეტრაციასა და რეგიონული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.**

საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი მომსახურების სექტორი იყო, სადაც ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და თავის მხრივ სტიმულს აძლევდა ვაჭრობის, მშენებლობის, და მომსახურების სხვა დარგების განვითარებას.

2000-2019 წლებში მომსახურების დარგების წილი ეკონომიკაში გაიზარდა 60%-დან 78%-მდე. თუმცა, წარმოების დაბალი ბაზის პირობებში გამომუშავებული შემოსავლების ძირითადი ნაწილი იმპორტზე არის მიმართული - ჩვენი შეფასებით 2019 წელს ტურისტების მიერ დახარჯული 3.3 მლრდ აშშ დოლარიდან ქვეყნის შიგნით მხოლოდ 1.3 მლრდ აშშ დოლარი დარჩა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელი წარმოების პოტენციალის ამაღლებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამ კუთხით, როგორც ადგილობრივი კომპანიების სტიმულირება, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

სოფლის მეურნეობაში წარმოების განვითარების პოტენციალი იკვეთება შემდეგ მიმართულებებში: **ხორცი და რძის პროდუქტები, მარცვლეული, ბოსტნეული და ხილი, საკვების გადამუშავება.** ამ მიმართულებით, საქართველოს აქვს 400 მლნ აშშ დოლარის ღირებულების იმპორტის ჩანაცვლებისა და ასევე ექსპორტის დივერსიფიცირების შესაძლებლობა. დარგის მთავარ გამოწვევად რჩება მიწების კონსოლიდაცია და დაბალი პროდუქტიულობა.

მშენებლობა საკმაოდ იმპორტ-ტევადია, და ჩვენი შეფასებით გარკვეული მიმართულებებით ადგილობრივი წარმოების წახალისებით შესაძლებელი იქნება 450 მლნ აშშ დოლარის ღირებულების იმპორტის ჩანაცვლება. პირველადი შეფასებით მიზანშეწონილია შემდეგი პროდუქტების წარმოების წახალისება: **კაბელები, არმატურა, პლასტმასი, საღებავები, ავეჯი, წყლის გამაცხელებლები, ლითონის მასალები, ხის მასალა, კერამიკის ნაწარმი, ცემენტის კლინკერი.**

ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყანა განახლებულ სტრატეგიას საჭიროებს, განსაკუთრებით მსოფლიოში ამ კუთხით გამძაფრებული კონკურენციის პირობებში. **უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალია** შემდეგ სექტორებში: ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის წარმოება, ავტომობილების/ავტონაწილების წარმოება, მედიკამენტები და სხვა ქიმიური წარმოება, ელექტრონული პროდუქტების წარმოება, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი. ამასთან, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია და ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებები ინვესტიციების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია სასამართლო სისტემასთან ერთად.

პრეზენტაციის შინაარსი

1 საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა

2 წარმოების პოტენციალი სოფლის მეურნეობაში

3 წარმოების პოტენციალი სამშენებლო მასალებში

4 რომელ სექტორებში და როგორ მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები?

ეკონომიკა მომსახურების სექტორების ზრდაზე დიდწილად არის დამოკიდებული და პროდუქციის საექსპორტო ბაზა მწირია

მშპ სექტორების მიხედვით, 2019



წყარო: საქსტატი

საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი ადგილობრივი მოხმარებისთვის



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: იმპორტი შეფასებულია მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისთვის (რე-ექსპორტის კატეგორიები შემცირებულია -სპილენძი, მანქანები, მედიკამენტები, თამბაქო); ექსპორტი ასევე გამორიცხავს ამ რე-ექსპორტის პროდუქტებს

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი დიდწილად იმპორტს ხმარდება

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯების სტრუქტურა 2019 წელს



წყარო: საქსტატი, სებ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ჩვენი გაანგარიშებით ტურისტის მიერ დახარჯული 1 დოლარიდან იმპორტირებულ საქონელზე იხარჯება დაახლოებით 40-45 ცენტი (პირველადი ეფექტი). სებ-ის შეფასებაა 35-40 ცენტი. ამასთან, ტურიზმთან დაკავშირებული დარგების (მშენებლობა, ვაჭრობა, უძრავი ქონება და ა.შ.) კავშირების და მათგან წარმოქმნილი იმპორტის მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე, ტურისტის მიერ დახარჯული 1 დოლარი დაახლოებით 18-20 ცენტის დამატებით მოთხოვნას ქმნის იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე (მეორადი ეფექტი). ამ ორი ეფექტის გათვალისწინებით, ტურისტის მიერ დახარჯული 1 დოლარიდან იმპორტზე დაახლოებით 60 ცენტი გადის.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელი - წარმოების პოტენციალის ამაღლება

რომელ დარგებში გვაქვს წარმოების პოტენციალი?

რომელ დარგებში და როგორ მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები?

ეკონომიკის სტრუქტურის გათვალისწინებით, საქართველოს აქვს სამშენებლო მასალების, საკვები პროდუქტების და ავეჯი/ტანსაცმლის წარმოების პოტენციალი

იმპორტი 2019



ჩვენი შეფასებით ადგილობრივი მოხმარებისთვის იმპორტი 2019 წელს $ 8.1 მლრდ იყო (რაც გამორიცხავს რე-ექსპორტისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტს $ 1.0 მლრდ)

იმპორტი რე-ექსპორტისთვის

4 მსხვილი კატეგორია

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

1 საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა

2 წარმოების პოტენციალი სოფლის მეურნეობაში

3 წარმოების პოტენციალი სამშენებლო მასალებში

4 რომელ სექტორებში და როგორ მოვიზიდოთ უცხოური ინვეტიციები?

სურსათის იმპორტი $ 1.1მლრდ-ია, ხოლო ექსპორტი $0.8 მლრდ-ია, საიდანაც სასმელები და თხილი მთელი ექსპორტის 73.3%-ს შეადგენს

სურსათის იმპორტი, 2019



სურსათის ექსპორტი, 2019



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

საქართველოს აქვს $ 400 მლნ ღირებულების იმპორტის ჩანაცვლებისა და ასევე ექსპორტის დივერსიფიცირების შესაძლებლობა

სექტორი	იმპორტი, 2019	
ხორცი და რძის პროდუქტები	$229 მლნ	საქართველოს აქვს პოტენციალი გაზარდოს ქათმის და ღორის ხორცის, თევზისა და გაყინული ხორც-პროდუქტების წარმოება. რძის პროდუქტების მიმართულებით, შესაძლებელია რძის ფხვნილის იმპორტის ჩანაცვლება და რძის პროდუქტების წარმოება ადგილობრივი ნედლეულით.
მარცვლეული, ბოსტნეული და ხილი	$236 მლნ	სიმინდის იმპორტის სრულად და ხორბლის იმპორტის ნაწილობრივი ჩანაცვლება შესაძლებელია. საქართველოს ასევე აქვს ბოსტნეულის წარმოების გაზრდის პოტენციალი. ამასთან, სამაცივრე მეურნეობების განვითარების გზით შესაძლებელია სეზონურობის შემცირება, რაც თავის მხრივ შეამცირებს იმპორტზე მოთხოვნას.
საკვების გადამუშავება	ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებით შესაძლებელია განვითარდეს საკვების წარმოების შემდეგი მიმართულებები: ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, ხორცპროდუქტები, ბოსტნეულის კონსერვები, მცენარეული ცხიმები და ა.შ.	

წყარო: საქსტატი, FAO, გალტ & თაგარტი

მიწების კონსოლიდაცია და დაბალი პროდუქტიულობა რჩება მთავარ გამოწვევად

მეურნეობების განაწილება მიწის ფართობის მიხედვით, 2013-2014წწ



წყარო: FAO, Eurostat, საქსტატი

მარცვლოვნების მოსავლიანობა, ტონა/ჰა, 2018



წყარო: FAO, Eurostat, საქსტატი

1 საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა

2 წარმოების პოტენციალი სოფლის მეურნეობაში

3 წარმოების პოტენციალი სამშენებლო მასალებში

4 რომელ სექტორებში და როგორ მოვიზიდოთ უცხოური ინვეტიციები?

სახელმწიფო და კერძო სექტორში **$20-25** მლრდ საინვესტიციო პროექტებია დაგეგმილი 2020-25 წლებში

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა

$8-10 მლრდ

ჰესები

$4.0 მლრდ

სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტები

$4-5 მლრდ

სასტუმროების მშენებლობა

$1.5-1.7 მლრდ

მსხვილი კერძო ინფრასტრუტურული პროექტები

$2.5 მლრდ - ანაკლია

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, გალტ & თაგარტი

მშენებლობა იმპორტ-ტევადია და მშენებლობასთან დაკავშირებული მასალების სავაჭრო დეფიციტი $1.7 მილიარდია (მთლიანი სავაჭრო დეფიციტის 32%)

სამშენებლო მასალების საგარეო ვაჭრობა, მლრდ აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

იმპორტის სტრუქტურა 2019, მლნ აშშ დოლარი



სამშენებლო მასალების ადგილობრივი წარმოება ადგილობრივი მოთხოვნის მხოლოდ 25%-ს აკმაყოფილებს

ძირითადი სამშენებლო მასალების ადგილობრივი წარმოება, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

დეტალურად 2019 წელი, მლნ აშშ დოლარი



წარმოების პოტენციალი სამშენებლო მასალებში

- კერძო და საჯარო სექტორის მიერ დაგეგმილი ინვესტიციები 2020-25 წლებში $20-25 მლრდ-ს შეადგენს, შესაბამისად სამშენებლო მასალების ადგილობრივი წარმოების სტიმულირება მიზანშეწონილია. ადგილობრივი წარმოების განვითარება ხელს შეუწყობს საექსპორტო ბაზრების ათვისებასაც
- პირველადი შეფასებით მიზანშეწონილია შემდეგი პროდუქტების წარმოების წახალისება:

კაბელები	არმატურა	პლასტმასი	საღებავები	ავეჯი
წყლის გამაცხელებლები	ლითონის მასალები	ხის მასალა	კერამიკის ნაწარმი	ცემენტის კლინკერი

- **მოსალოდნელია იმპორტის ჩანაცვლება დაახლოებით $450 მლნ-ით**

1 საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა

2 წარმოების პოტენციალი სოფლის მეურნეობაში

3 წარმოების პოტენციალი სამშენებლო მასალებში

4 **რომელ სექტორებში და როგორ მოვიზიდოთ უცხოური ინვეტიციები?**

2020 წელს FDI მნიშვნელოვნად შემცირდება, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიმართულებით

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა მსოფლიოსა და საქართველოში



წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია

საქართველოს აქვს პოტენციალი ისარგებლოს მიწოდების ჯაჭვის რეგიონალიზაციის ტენდენციებით

- გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) პროგნოზის თანახმად, 2020 წელს გლობალურად FDI-ის 40%-იანი კლებაა მოსალოდნელი და ბოლო 15 წლის მანძილზე FDI პირველად ჩამოცდება $1 ტრილიონს
- FDI-ის კლების ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდება განვითარებად ქვეყნებში
- ინვესტიციების გააქტიურება 2022 წლიდანაა მოსალოდნელი
- პანდემიის პირობებში აქტუალური გახდა მიწოდების ჯაჭვის გადაწყობა
- Enodoeconomics Reshoring Index-ის მიხედვით, ზოგიერთ სექტორში უფრო მეტად მოსალოდნელია მიწოდების ჯაჭვის დივერსიფიკაცია (მაგ. ავტოინდუსტრია, ელექტრო მანქანა-დანადგარები, ხის ნაწარმი და ა.შ).

საქართველო საჭიროებს საინვესტიციო სტრატეგიის განახლებას

საქართველოს კონკურენტული უპირატესობა

- 2.3 მლრდ მომხმარებლის ბაზრებზე წვდომა საბაჟო გადასახადის გარეშე
- დაბალი გადასახადები
- კომუნალური და სამუშაო ძალის დაბალი ხარჯები
- კორუფციის დაბალი დონე
- ხელსაყრელი ბიზნეს გარემო
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონები
- სტრატეგიული მდებარეობა

მსოფლიო მიწოდების ჯაჭვის დივერსიფიკაციისა და საქართველოს კონკურენტული უპირატესობის გათვალისწინებით, FDI-ის მოსაზიდად ჩვენ დავაიდენტიფიცირეთ შემდეგი სექტორები :

- ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის წარმოება
- ავტომობილების / ავტონაწილების წარმოება
- მედიკამენტების და სხვა ქიმიური წარმოება
- ელექტრონული პროდუქტების წარმოება
- ტრანსპორტი და დასაწყობება
- ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი

შრომითი ძალის უნარ-ჩვევებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აუცილებელია საქართველოს კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად

საქართველოს სამუშაო ძალის რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, 141 ქვეყნიდან, 2019



წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
შენიშვნა: 1-საუკეთესო, 141-რეიტინგში ბოლო

საქართველოს ინფრასტრუქტურის რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, 141 ქვეყნიდან, 2019



წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
შენიშვნა: 1-საუკეთესო, 141-რეიტინგში ბოლო
მოიცავს ინფრასტრუქტურის შემდეგ მიმართულებებს: საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

როგორ მოვიზიდოთ FDI? - ეტაპები და საინვესტიციო შეთავაზება

ეტაპები FDI-ს მოსაზიდად

- წარმატებული ქვეყნების საინვესტიციო სტრატეგიების შესწავლა
- სექტორებისა და პოტენციური ინვესტორი ქვეყნების იდენტიფიკაცია
- პოტენციური ინვესტორი კომპანიების იდენტიფიკაცია
- სექტორებზე მორგებული საინვესტიციო შეთავაზებების მომზადება
- აგრესიული საკომუნიკაციო სტრატეგიის დაწყება

საინვესტიციო შეთავაზების პაკეტი უნდა მოიცავდეს შეღავათებს შემდეგი მიმართულებით:

- მიწა / უძრავი ქონება
- სექტორული ინდუსტრიული ზონები / ინფრასტრუქტურა
- საგადასახადო შეღავათები
- მიზნობრივი გრანტები / თანამშრომლების გადამზადება

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.

კვლევების გასაცნობად ეწვიეთ www.gtresearch.ge
გალტ ენდ თაგარტი (Galt & Taggart)
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge
ლაშა ქავთარაძე
მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების უფროსი | lashakavtaradze@gt.ge
ბაჩანა შენგელია
სექტორული კვლევების უფროსი | bshengelia@gt.ge
ანა ნაჭყებია
უფროსი ანალიტიკოსი | ananachkebia@gt.ge
მარიამ ჩახვაშვილი
უფროსი ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge